ტესტების ნიმუშები სასამართლო მედიცინის გამოცდისათვის

წყალში დახრჩობის რომელი ტიპის დროს ვითარდება ფილტვის მფარავი პლევრის ქვეშ პალტაუფ-რასკაზოვ-ლუკომსკის ლაქები:

ა. ასპირაციული
ბ. სპაზმური
გ. რეფლექსური
დ. შერეული
*ე. სწორია ა. და დ.
ვ. სწორია ბ. და გ.

წყალში რეფლექსური დახრჩობისას სიკვდილის მიზეზია:

ა. ფილტვის მწვავე უკმარისობა
ბ. გულის ფიბრილაცია და გულის მწვავე უკმარისობა
*გ. გულის რეფლექსური გაჩერება
დ. თირკმლის უკმარისობა

კესონური ავადმყოფობის ძირითადი მექანიზმია:

ა. წნევის მომატებით გამოწვეული ბაროტრავმა
ბ. კესონში ჰაერის წნევის მომატების გამო ჟანგბადით მოწამლვა
გ. კესონში ჰაერის წნევის მომატების გამო აზოტით მოწამლვა
*დ. კესონიდან სწრაფად ამოსვლისას აირების დესატურაცია და აიროვანი ემბოლია